

წმინდა სამების დღის სიტყვა სული წმინდაზე.

სულთმოფენობა

07 ივნისი 2020 წელი

დღეს დიდი სულიერი სიხარულით ვდღესასწაულობთ წმინდა სულთმოფენობის დღეს!

მოციქულთა საქმეებში ნათლადაა აღწერილი, თუ როგორ გადმოვიდა წმინდა სული მოციქულებზე და იმ პირველებზე, უფლის ერთგულებზე, მორწმუნეებზე, რომელთა რიცხვი დაახლოებით ასოცი ადამიანი იყო. ამის შემდეგ საოცარი გზით სამმა ათასმა ადამიანმა მიიღო ქრისტიანობა, მოინათლა ერთ დღეს, და ასე დაედო საფუძველი წმინდა ქრისტეს ეკლესიას. სულთმოფენობის უდიდესი მოვლენა ჩვენ გვაძლევს საშუალებას შევიცნოთ წმინდა სული, გავიგოთ, როგორ გადადის ქრისტიანებზე და ის, თუ როგორ შეგვიძლია ჩვენ მორწმუნეებს, მივიზიდოთ მისი მადლი.

მრწამსში (ან სარწმუნოების აღიარებაში) ჩვენ ვაღიარებთ, რომ სული წმინდა გადმოდის მამისაგან და რომ მას გააჩნია თანაბარი. არსი, რაც მამასა და ძეს აქვს. სული წმინდას, როგორც ერთ-ერთ სახეს (ჰიპოსტასის) ერთიან წმინდა სამებას მიენიჭება ერთიანი და განუყოფელი მორჩილება, დიდება, პატივი. აი რატომ ვამთავრებთ ყველა თხოვნასა და ლოცვას პატივისცემის ძახილით „დიდება მამასა ძესა და წმინდასა სულსა“.

სული წმინდა, რომელიც ჭეშმარიტი ღმერთია, ყველაფერში ერთიანია მამა-ღმერთთან და ძე ღმერთთან. სამყაროს შექმნისას წმინდა სული „დაჰქონდა წყლის ზედაპირზე“ (დაბ.1:2) და თავისი ცხოველმყოფელი ძალით მისცა სიცოცხლე წყლებს-ახალი ქმნილების წყაროს. როდესაც ადამი შეიქმნა, სული წმინდამ აღავსო „სიცოცხლის სულით“ (დაბ.2:7) მისი სხეული და ადამიანი გახდა ცოცხალი არსება გონივრული სულით. სული-ეს ის არის, რაც აძლევს ცხოვრებას, მოძრაობას და ადამიანის ორგანიზმს ენერჯიას. სული წმინდა გადმოდისა და წინასწარმეტყველებზე და ანათლებდა მათ იმაში, თუ რა უნდა ექადაგათ და გაეკეთებინათ, რათა ღვთის ნება მიეტანათ ხალხამდე.

სული წმინდა გადმოვიდა წმინდა ქალწულ მარიამზე ნაზარეთში და თავისი მიუწვდომელი ძალით გახადა ის ღვთის სიტყვის დედად. იესოს ნათლობის დროს წმინდა სული „მტრედის სახით“ გადმოვიდა მასზე, რათა დაემტკიცებინა მამის სიტყვა, რომ იესო-მისი საყვარელი ძეა, და რომ სწორედ მას უნდა მივინდოთ და მივყვეთ. სულთმოფენობის დღეს სული წმინდა გადმოვიდა და უბრალო მეთევზეები „ბრძენად“ აქცია, როგორც გვამცნობს სულთმოფენობის დღესასწაულის შესახებ სახარებისეული ამბავი. მან მისცა მოციქულებს ძალა უშიშრად ექადაგათ ათასობით ადამიანებისათვის, რომ ქრისტე-ჭეშმარიტი ჩვენი ღმერთია. ეს იგივე სული წმინდაა, რომელსაც ვიღებთ ჩვენ ნათლობის საიდუმლოს დროს წმინდა მირონცხებისას; ვეკლესიურდებით და ვხდებით „ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმინდისანი არიან," როგორც ამბობს მოციქული პავლე (1კორ.6:19).

ყველა წმინდა საიდუმლოებები იწყება და მთავრდება სული წმინდით წმინდა ზიარებაში, რომელიც მიმდინარეობს საღვრთო ლიტურგიის დროს, სწორედ სული წმინდით გადაიქცევა პური და ღვინო ქრისტეს ძვირფას ხორცად და სისხლად. სწორედ

სული წმინდით იკურთხება წყალი წმინდა ნათლობისთვის. ეს მაშინაც ხდება, როდესაც წყალი იკურთხება ნათლისღების დღესასწაულზე.

სწორედ სული წმინდისაგან იკურთხევა ზეთი, რომელსაც მღვდელი იყენებს ზეთის ცხების დროს, რათა ავადმყოფს აცხოს, ლოცულობს რა მისი ჯანმთელობისთვის. ხელდასხმის დროს სწორედ „წმინდა და ცხოველმყოფელი სული წმინდის მადლი“ განსაზღვრავს იყოს ადამიანი დიაკვანი, მოძღვარი და ეპისკოპოსი. აგრეთვე სახარებაც, ღვთისნისნიერი ადამიანების დაწერილი, შედეგია სული წმინდის შთაგონებისა და სწავლებისა. სწორედ ამიტომ არის, რომ მხოლოდ სული წმინდის განათლების მადლითაა შესაძლებელი ჭეშმარიტად გავიგოთ წმინდა წერილი (2 პეტ.1:20-21). ყველაფერი სრულყოფილი ხდება სული წმინდის წყალობით და ყველაფერი ხდება (თუ გამოვიყენებთ თეოლოგიურ გამოთქმას) „მამისაგან, ძის მეშვეობით, წმინდა სულში.“

ვიცით რა ეს, ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ, რომ სულიერი ზრდა მართმადიდებელი ქრისტიანისა, მისი ცხოვრების განვითარება უფალში ხორციელდება წმინდა სულის დამოძღვრის გზით. თუნდაც რომ ვირწმუნოთ და აღვიაროთ, რომ იესო ქრისტე-უფალია ჩვენი და ღმერთია ჩვენი, შესაძლებელია მხოლოდ სული წმინდის ძალით (1 კორ.12:3). სული წმინდა გვასწავლის ყველა ჭეშმარიტებას ჩვენი სარწმუნოებისას; როგორც უთხრა უფალმა თავის მოსწავლეებს: „ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდის თქვენ ჭეშმარიტებისა ყოველსა“ (ინ.16:13).

„აგრეთვე-ამბობს პავლე მოციქული-და სულიცა იგი თანა-შეეწევის უძლურებათა ჩუენთა, რამეთუ რამცა იგი ვილოცეთ, ვითარცა-იგი ჯერ არს, არა ვიცით; არამედ თვით იგი სული მეოხ არს ჩვენთვის სულთქუმითა მით უსიტყუელითა“ (მამა-ღმერთს) (რომ.8:26).

სული წმინდა კურთხეულად გვიგზავნის ჩვენ მრავალ სხვადასხვა მადლს (1 კორ.12:4-11 და გალ.5:22-23), თუმცა, მოკლედ დღევანდელ მითითებებში მოდით შევჩერდეთ ერთ საკვანძო მომენტზე: იმის მერე, როცა ჩვენ ვინანიებთ და ვთხოვთ სული წმინდას მონანიებასა და მიტევებას, იგი გვკურნავს და განწმენდს ჩვენს სულებს ყველა ცოდვისაგან. აი რატომ ვიწყებთ ჩვენ მართმადიდებელი ქრისტიანები ყოველი სახლში ლოცვისას, ყოველი საეკლესიო მსახურებისას ნაცნობ ლოცვას სიტყვებით „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშისმცემელო, სულ ჭეშმარიტებისაო,“ ანუ „მეუფე ზეცათა, ნუგეშისმცემელი (მრჩეველი, დამრიგებელი), სული ჭეშმარიტი,“ რომელშიც ჩვენ ლოცვით მივმართავთ სული წმინდას თხოვნით: „მოდი და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა გვყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა,“ რათა ის მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენს შორის და განგვწმინდოს ყოველგვარი ცოდვისაგან.

ჩემო ძმებო და დებო, ამ დიად დღეს მოდით დაგუჩოქოთ და შევთხოვოთ სული წმინდას, რათა იგი გადმოვიდეს და ააღორძინოს ჩვენში ის მადლი, რომელიც ჩვენ მისგან მივიღეთ ნათლობისას წმინდა ზეთის ცხებით.

მოდით განვიწმინდოთ ჩვენი სულები და ღირსნი ვიყვნეთ იმისა, რათა სული წმინდა სუფევდეს ჩვენში, ცხოველმყოფელობით გაგვათბოს და წმინდა სულთმოფენობის ცეცხლით გაგვანათლოს ჩვენ.